დრაკონის გზა ქართულ მედიაში:

ჩინეთი ქართულ საინფორმაციო გარემოში

2025 თბილისი

საკვლევი საგანი:

- ჩინეთის გავლენა ქართულ მედიაში

საკვლევი პერიოდი:

- 01.01.2025 – 10.11.2025

კვლევის მეთოდოლოგია:

- თვისებრივი

ძირითადი მეთოდები:

- სამაგიდო კვლევა (Desk Research),
  კონტენტ-ანალიზი (მედიამონიტორინგი),
  ქეის-სთადი (Case Study),
  შედარებითი ანალიზი.

მონიტორინგს დაქვემდებარებული მედიასაშუალებები:

- „ტვ.პირველი“
  BM.ge
  “საზოგადოებრივი მაუწყებელი“
  „იმედი“
  „POSTV“
  მედიაკავშირი „ობიექტივი“
  Chinesestories.ge
  Sinologia.ge
  SPNews
  „სპუტნიკ საქართველო“
  მედიაცენტრი „მთავარი“
  „ნეტგაზეთი“
  „ტაბულა“
  „აიფაქტი“

პროპაგანდის მარგალიტები

ირაკლი კობახიძე:

ჩინეთი ამჟამად ერთადერთი მშვიდობიანი ზესახელმწიფოა მსოფლიო პოლიტიკაში, რომელსაც უნდა მიბაძოს ყველამ. სწორედ ამიტომ გვაქვს საერთო ღირებულებები, სწორედ ამიტომ არის ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებული ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავება.

მიხეილ ყაველაშვილი:

მისასალმებელია, რომ ჩვენ, სუვერენულმა ქვეყანამ, მზარდი ეკონომიკის მქონე ძლიერ ქვეყანასთან, როგორიც არის ჩინეთი, ურთიერთობა დავამყარეთ... იცით, რომ ჩინეთი საკმაოდ დიდი შესაძლებლობების ქვეყანაა. ამ დერეფანში მისი ინტერესიც არსებობს. ამ პროცესში ასეთი დიდი ქვეყნის მონაწილეობა ძალიან სასარგებლოა.

„ობიექტივი“, ჩინური პანორამა:

ჩინეთი მოდერნისტული ქვეყანაა... ჩინური ენის შესწავლა უფრო მარტივია, ვიდრე ფრანგულის... ჩინეთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა და ჩინელი ახალგაზრდები არიან ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული ახალგაზრდები მსოფლიოში... ჩინეთში ძალიან დაბალ დონეზეა კრიმინალი და ახალგაზრდობას ყველანაირი შესაძლებლობები აქვთ თვითრეალიზაციის.

„ობიექტივი“, ჩინური პანორამა:

ჩინეთი ხდება განვითრებადი ქვეყნებისთვის პარტნიორი ქვეყანა, ჰეგემონობას ანაცვლებს, მათ შორის, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების... ამიტომ, ბევრი ჩინეთი საქართველოში, იქნება ბევრი სტაბილურობა, მოგვიტანს ბევრ სტაბილურობას...

Postv:

მსოფლიოს ქვეყნები თამამად აღიარებენ, რომ ჩინეთთან კავშირი ნიშნავს: ეკონომიკურ სარგებელს, სტრატეგიულ პარტნიორობას და გლობალურ სტაბილურობას.

სარჩევი

შესავალი 3

კვლევის მიგნებები 6

მედიამონიტორინგი 9

იმედი 9

POSTV 12

ობიექტივი 14

ტვ პირველი 16

bm.ge 18

საზოგადოებრივი მაუწყებელი 19

ონლაინმედია 22

spnews 22

sputnik საქართველო 23

მედიაცენტრი “მთავარი” 25

Sinologia.ge 26

Chinesestories.ge 26

სინომედია 27

ნეტგაზეთი 27

ბათუმელები 28

ტაბულა 29

აიფაქტი 29

დასავლური პრესა და ქართული პროსახელისუფლებო მედია 30

დაფინანსების წყარო 32

კვლევის მეთოდოლოგია 34

შესავალი

„სამოქალაქო იდეას“ ბოლო წლების კვლევები ქმნის მყარ ემპირიულ საფუძველს ქართულ მედიასივრცეში ჩინეთის რბილი ძალის ინსტრუმენტების, მათი გავრცელების ფორმებისა და გავლენის მასშტაბის ანალიზისთვის. ორგანიზაციის ანგარიშებში - „ჩინეთის, როგორც „მეომარი მგლის“ პოლიტიკა მედიის სივრცეში: საქართველოს მაგალითი“ და „The Dragon Dance - ჩინეთის გავლენა ქართულ მედიასა და აკადემიაზე“ - განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ჩინეთთან დაკავშირებული პროცესების მედია ანალიზს.

2022-2023 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა მკაფიო ტენდენცია:

ქართულენოვან მედიაში გაძლიერდა ანტიდასავლური და, პარალელურად, პრო-ჩინური ნარატივები, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, ერთმანეთთან კოორდინირებული სარედაქციო სტრატეგიით ხასიათდებოდა.

ეს ტენდენციები ვლინდებოდა რამდენიმე მიმართულებით:

- ჩინეთის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენისგან თავის არიდება;
- ჩინეთის, როგორც „მშვიდობისმყოფელი და საიმედო პარტნიორის“ იმიჯის ჩამოყალიბება;
- ჩინეთის უპირატესობის ხაზგასმა დასავლეთის დისკრედიტაციის პარალელურად.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩინეთთან „დეკლარირებული მეგობრული ურთიერთობის“ ინტენსიფიკაციამ, მთავრობის მაღალი დონის ვიზიტების გახშირებამ და ამ ვიზიტების პროსახელისუფლებო მედიაში აქტიურად გაშუქებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ჩინეთთან თანამშრომლობის თემის სისტემური გამოჩენა საინფორმაციო დღის წესრიგში. შესაბამისად, წინამდებარე საანგარიშო პერიოდში (იანვარი - ნოემბერი, 2025) აღნიშნული ტენდენციები კიდევ უფრო გამოიკვეთა.

2025 წელი: ვიზიტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში:

- საპარლამენტო დელეგაცია გია ვოლსკის ხელმძღვანელობით;
- შინაგან საქმეთა მინისტრი გელა გელაძე;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნათია თურნავა;
- პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე მთავრობის წარმომადგენლებთან და ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად;
- საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი;
- პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბუნია;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი;
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე;
- რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი ნინო ლაცაბიძე;
- „საქპატენტის“ თავმჯდომარე სოსო გიორგაძე.

2025 წელს მკვეთრად გაძლიერდა ქართულ-ჩინურ დიპლომატიურ ურთიერთობებზე, სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და „სტრატეგიული პარტნიორობის“ პერსპექტივებზე ფოკუსირებული კონტენტი, რაც ქმნის სტრუქტურულად ორგანიზებულ საინფორმაციო გარემოს საზოგადოებრივი განწყობების ფორმირებისთვის.

პარალელურად, ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი მკვეთრად შეფერხდა. ამის ილუსტრაციაა ევროკავშირის გაფართოების შესახებ 2025 წლის 4 ნოემბერს გამოქვეყნებული ანგარიშიც, სადაც საქართველოზე საუბარია „სერიოზული გაუარესების“ კონტექსტში.

„ეს არის ყველაზე უარესი ანგარიში, რომელიც ოდესმე მომზადებულა კანდიდატი ქვეყნისთვის“. კოსის შეფასებით, საქართველო ფორმალურად კვლავ კანდიდატ ქვეყნად რჩება, თუმცა, „არსებული დემოკრატიული უკუსვლის ფონზე ეს სტატუსი მხოლოდ ქაღალდზე და სახელწოდების დონეზე არსებობს.”

ევროკომისარი მარტა კოსი

ნიშანდობლივია, რომ სწორედ იმ დღეს, 2025 წლის 4 ნოემბერს, როდესაც ბრიუსელში გაფართოების საკითხზე ანგარიში ქვეყნდებოდა, ბატონი კობახიძე მთავრობის წევრებთან ერთად ჩინეთში იმყოფებოდა. ევროპული გზავნილის - „საქართველო ამ ეტაპზე ევროკავშირის გზაზე ვერ პროგრესირებს“ - პარალელურად, მთავრობის მეთაური პეკინიდან აკეთებდა განცხადებებს ჩინეთთან „სტრატეგიულ პარტნიორობაზე“ და „მჭიდრო თანამშრომლობაზე“, კომუნისტური პარტიის სიმბოლიკის ფონზე.

ევროკავშირის გაფართოების შესახებ ევროკომისიამ გამოაქვეყნა 2025 წლის ანგარიში საქართველოზე.

4/11/2025



იმავე დღეს, ირაკლი კობახიძე მთავრობის წევრებთან ერთად ჩინეთში იმყოფებოდა.

ამ გარემოებამ ბუნებრივად გააჩინა კითხვა, თუ რა გზავნილი ჰქონდა ხელისუფლებას ან საკუთარი მოსახლეობისთვის, რომლის დაახლოებით 85% ევროკავშირში გაწევრიანებას უჭერს მხარს, ან დასავლელი პარტნიორებისთვის, რომლებმაც, მიუხედავად მრავალი სირთულისა, წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით საქართველოს ევროპული პერსპექტივა შეუნარჩუნა.

მიუხედავად „ქართული ოცნების“ რეპრესიული კანონებისა, საქართველო ჯერ კიდევ ინარჩუნებს მრავალფეროვან მედიაგარემოს და მედია პლურალიზმს, რითიც გამოირჩევა რეგიონში. განსხვავებული მედიაპლატფორმების არსებობა უზრუნველყოფს კონკურენტულ საინფორმაციო ბაზარს, თუმცა, სწორედ ამ მრავალფეროვნებაში მკვეთრად იკვეთება ორბირთვიანი პოლარობა - პროსახელისუფლებო და კრიტიკული/ოპოზიციური მედია.

ქართული მედიის, როგორც დამოუკიდებელი საინფორმაციო ერთეულისა და , ამავდროულად, გლობალური ძალების ნარატივების მატარებლების, შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ რეგიონული უსაფრთხოების, საინფორმაციო მედეგობისა და გლობალური საინფორმაციო არქიტექტურის უკეთ გაგების თვალსაზრისითაც.

კვლევის მიგნებები

მონიტორინგს დაქვემდებარებული მედიასაშუალებების ანალიზმა აჩვენა:

1. 2025 წელს ქართულ სამაუწყებლო მედიაში, კომუნისტური ჩინეთის, ან მასთან აფილირებული სუბიექტების მხრიდან რამდენიმე მედიასაშუალება იღებდა დაფინანსებას. დამფინანსებელ სუბიექტებს შორისაა ჩინეთის საელჩო.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკურ პორტალზე განთავსებული მონაცემების თანახმად, 2025 წლის მე-2 კვარტალში ტელეკომპანია "ობიექტივმა" 12 500 ლარის შემოსავალი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსგან მიიღო. აღსანიშნავია, რომ კატეგორიაში "7000 ლარს ზემოთ დაფინანსება" "ობიექტივს" ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს გასწვრივ გადაცემის განთავსება აქვს მითითებული, ხოლო დაფინანსების წყაროების შესახებ კატეგორიაში - სპონსორობა.

გადაცემა „ჩინური პანორამა", რომელიც ეთერში ჩინეთის დროშისა და ტერიტორიული რუკის ფონზე, ასევე, ფოტო და ვიდეო მასალის ვიზუალური გაფორმებით წამყვანისა და მოწვეული სტუმრის დიალოგის ფორმატში გადის, აშკარად ატარებს პროპაგანდის ნიშნებს და სრულად არის მიმართული ჩინეთის საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის, საერთაშორისო ინიციატივების, ეკონომიკური პროექტებისა და გეოპოლიტიკური ამბიციის პოპულარიზებაზე.

2. როგორც პროსამთავრობო, ისე ოპოზიციურ სამაუწყებლო მედიაში გაჩნდა ჩინეთის თემის გაშუქებისადმი გარკვეული სარედაქციო მიდგომები.

წინა წლების კვლევებით, მედიას ჰქონდა ქაოსური და არათანმიმდევრული მიდგომა ჩინეთის შესახებ ამბების გაშუქების მიმართ. თუმცა, მას შემდეგ, რაც ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა სამთავრობო ინტერესად იქცა, განსაკუთრებით პროსამთავრობო მედიაში გაიზარდა ჩინეთის დადებითი გაშუქების ტონი და, ფაქტობრივად, აღარ არის ნეგატიური გაშუქების მაჩვენებელი, ხოლო ოპოზიციურ მედიაში - პირიქით.

3. **პროსამთავრობო ტელევიზიების („იმედი“, POSTV და „ობიექტივი“) მონიტორინგმა გამოავლინა რამდენიმე საერთო ტენდენცია: სამივე არხზე ჩინეთი წარმოჩენილია როგორც ძლიერი, ეკონომიკურად განვითარებული, მშვიდობიანი და საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პარტნიორი. გაშუქებაში დომინირებს პოზიტიური კონტექსტი, ხოლო კრიტიკული შეფასებები მარგინალიზებულია.**

4. **ჩინეთთან პარტნიორობა წარმოდგენილია როგორც პრაგმატული, გონივრული და დასავლეთის „ალტერნატიული“ საგარეო არჩევანი, რაც ემსახურება მოქმედი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსის გამართლებასა და გაძლიერებას.**

მუდმივად ხაზგასმულია ჩინეთის სანდოობა და მისი სამშვიდობო პოლიტიკა. ჩინეთის სახალხო რეპუბლიკა წარმოჩენილია როგორც დასავლეთისგან განსხვავებული „თანასწორი“ „სუპერსახელმწიფო“. „სუპერსახელმწიფოსთან“ თანასწორობის ნარატივი სახელისუფლებო მედიის რიტორიკაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს: ერთი მხრივ, პარტნიორობაში თანასწორობის, საიმედოობისა და ურთიერთობების სიმყარის აქცენტირება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას წარმოაჩენს როგორც მეგობარ სახელმწიფოს და საქართველოს - როგორც სუპერსახელმწიფოს თანასწორს; მეორე მხრივ, ქმნის კონტრასტს ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ან ჩინეთსა და ევროკავშირს შორის, რომლებიც ხშირად წარმოჩენილია ძალისა და დომინაციის პოზიციიდან მოქმედ აქტორებად და საკუთარი დღის წესრიგის დამკვიდრების მცდელობად.

“

„ყველაზე გონივრული ნაბიჯი, რაც კი საქართველოს ხელისუფლებას რომელიმე საუკუნეში გადაუდგამს, იყო ბოლო სამ წელიწადში გადადგმული ნაბიჯები. ამ სამი წლის განმავლობაში საქართველომ სერიოზულ ზეწოლას გაუძლო. ხელისუფლებამ ქვეყანა არ შეიყვანა ომში, კავშირი დაამყარა და სტრატეგიულ პარტნიორად გაიხადა მსოფლიო პოლიტიკაში კიდევ უფრო გაძლიერებული ჩინეთი – აღმოსავლეთი, რომელთანაც უკვე გააფორმა სტრატეგიული თანამშრომლობა და ამით ალტერნატივა დაუდო დასავლეთს”.

თამარ ჩიბურდანიძე
პარტია „ხალხის ძალის” წევრი

5. **მედია დისკურსში მკაფიოდ იკვეთება დასავლეთის კრიზისულ, არათანასწორ და მორალურად დეგრადირებულ სივრცედ წარმოჩენა. სწორედ ამ დისკურსული ჩარჩოს მეშვეობით ფორმირდება ნარატივი, რომლის მიხედვითაც აღმოსავლური ვექტორი დასავლურ-ატლანტიკური არჩევანის რეალურ, ხოლო ზოგ შემთხვევაში - სასურველ ალტერნატივად წარმოჩნდება.**

6. ოპოზიციური მაუწყებლები ჩინეთს სისტემურად წარმოაჩენენ, როგორც რუსეთისა და ირანის პარტნიორ ავტორიტარულ ძალას.

TV-პირველი ჩინეთთან თანამშრომლობას დასავლური კურსიდან გადახვევისა და პოლიტიკური/უსაფრთხოების რისკების ჭრილში განიხილავს. არხი აშუქებდა იმ თემებსაც, რომელიც პროსახელისუფლებო მედიაში ნაკლებად ხვდებოდა, თუმცა, ფართოდ იყო წარმოდგენილი დასავლურ მედიაში.

7. BMG.ge ჩინეთის თემებს, ძირითადად, ფაქტობრივ და ანალიტიკურ ფორმატში აშუქებს. ტონი, უმეტესად, ნეიტრალური, ცალკეულ შემთხვევაში კი - ზომიერად კრიტიკული.

8. საზოგადოებრივი მაუწყებლის გაშუქებაში ჩინეთთან დაკავშირებულ თემებზე აშკარად ჭარბობს ხელისუფლების პოზიციები, ხოლო კრიტიკული შეფასებები წარმოდგენილია შეზღუდულად და ფრაგმენტულად.

მაუწყებელი ჩინეთთან თანამშრომლობას, ძირითადად, ეკონომიკური სარგებლის, ინვესტიციებისა და სტრატეგიული პარტნიორობის პოზიტიურ ჭრილში განიხილავს მაშინ, როდესაც გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების რისკები ნაკლებადაა წარმოდგენილი. დროის განაწილება და სარედაქციო აქცენტები ქმნის პოზიტიურ საინფორმაციო ჩარჩოს, რაც მის სამართლებრივ ვალდებულებას - ობიექტური, დაბალანსებული და მრვალმხრივი გაშუქების სტანდარტს, ვერ უზრუნველყოფს.

როგორ აშუქებენ ჩინეთის თემას მედია არხები ?



მედიამონიტორინგი - ტელევიზიები:

“იმედი”

ტელეკომპანია “იმედზე” ჩინეთი სისტემატურად წარმოჩენილია ძლევამოსილ სახელმწიფოდ, ეკონომიკურ გიგანტად, გლობალურ ზესახელმწიფოდ და საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან პარტნიორად.

„იმედის“ სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც პროსამთავრობო ნარატივების გავრცელებაზეა ორიენტირებული, პირდაპირ აისახება არხის მიერ ჩინეთის მედიარეპრეზენტაციის ფორმასა და შინაარსზე. შინაარსობრივი ანალიზი მიუთითებს მკვეთრად დადებით, ხშირად შეუფარავად მიკერძოებულ ტონზე, რაც თავსებადი ჩანს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებთან. „სამოქალაქო იდეას“ წინა მონიტორინგთან შედარებით, „იმედის“ მასალებში პრაქტიკულად აღარ იძებნება მასალები, სადაც ჩინეთი ნეგატიურადაა მოხსენიებული. „იმედმა“ საანგარიშო პერიოდში ჩინეთზე ასობით მასალა გაავრცელა და არხის დღის წესრიგში მკვეთრად პრივილეგირებულ პოზიციაშია, როგორც ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერი ძალა და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორთა სისტემაში მნიშვნელოვანი მოთამაშე.

დადებითი შინაარსის მასალებში დომინირებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა და მათთან დაკავშირებული ექსპერტების პოზიტიური შეფასებები, რომლებიც საქართველო-ჩინეთის თანამშრომლობას წარმოაჩენენ როგორც ისტორიულ შესაძლებლობას. ამავე კონტექსტში ჩინეთის ოფიციალური პირების განცხადებები ხშირად ციტირებულია ორმხრივი ურთიერთობების განსაკუთრებული მნიშვნელობის დასადასტურებლად. პარალელურად, ტელეკომპანია „იმედის“ წამყვანებისა და ჟურნალისტების სარედაქციო ტექსტებსა და შეფასებებში თანამშრომლობა ხაზგასმულია, როგორც სტრატეგიული წინსვლის, ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავების პერსპექტივა, რაც მთლიანობაში აძლიერებს ნარატივის ერთმნიშვნელოვნად დადებით ხასიათს.

არხზე ნეიტრალური ტონის მასალებიც ხშირად კარგავს ნეიტრალურობის ელემენტს: როგორც წესი, ხშირია ხელისუფლების წარმომადგენელთა მოკლე კომენტარები ოპოზიციის კრიტიკაზე - „ქართული ოცნების“ პრო-ჩინურ მიმართულებასთან დაკავშირებით. ამ კომენტარებში ოპოზიციის ბრალდებები ან სრულად უარყოფილია - „არავითარი საფუძველი არ აქვს“, ან საერთოდ არ არის განხილული, რაც კრიტიკული პოზიციების მარგინალიზაციას უწყობს ხელს.

არხის სარედაქციო პოლიტიკაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხელისუფლების ოპონენტების, ოპოზიციური პარტიების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისა და დასავლელი აქტორების დისკრედიტაციის მცდელობა იმ საფუძვლით, რომ ისინი „ქართულ ოცნებას“ პრო-ჩინურ კურსს „აბრალებენ“. „იმედის“ მიერ გავრცელებულ სიუჟეტებში მსგავსი ბრალდებები, ხშირად, საწინააღმდეგო ფორმით არის წარმოდგენილი, რომლის მიხედვითაც ჩინეთთან პარტნიორობა საერთაშორისოდ ფართოდ მიღებული და ნორმად ქცეული თანამშრომლობის მოდელია, მათ შორის აშშ-ისა და ევროკავშირის წევრი

ქვეყნებისთვის. ამ გზით არხი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ხელისუფლების პოლიტიკა არის „ნორმალური“ და პრაგმატული, ხოლო ოპოზიციის კრიტიკა დაუსაბუთებელი, დამაზიანებელი და „რადიკალური“. ამის მაგალითია „იმედის კვირის“ 30 მარტის ვრცელი სიუჟეტი სათაურით „ისტორიული ვიზიტი“, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ნათია თურნავას ჩინეთში ვიზიტს მიეძღვნა:

“სანამ რადიკალები ქვეყნის ცეცხლში გახვევას და ეკონომიკის ჩამოშლას ცდილობენ, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უკეთესად იცხოვროს მშვიდობიან საქართველოში. ეძებს ახალ ბაზრებს, ავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს და უპრეცედენტო მასშტაბის ინვესტიციების მოზიდვასაც ახერხებს... ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობა უკვე საფინანსო სექტორშიც ახალ ეტაპზე გადავიდა. სებ-ის პრეზიდენტის ვიზიტი ჩინეთში თავისი მნიშვნელობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არის ისტორიული. ნათია თურნავა ჩინეთის 4 უმსხვილესი ბანკიდან სამს უკვე შეხვდა. ჩვენ ახლა ვსაუბრობთ მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკაზე და იმაზე, რაც სტრატეგიული ურთიერთობის კვალდაკვალ ხდება.”

„იმედის კვირა“, ირაკლი ჩიხლაძე, 30 მარტი 2025

ასევე, 9 ნოემბერს, 10-წუთიანი რეპორტაჟი მიუძღვნა „იმედის კვირამ“ პრემიერის და მთავრობის წევრების ვიზიტს ჩინეთში.

“სტრატეგიული პარტნიორობის ახალი ეტაპი - პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ჩინეთში ხელშესახები შედეგებით დასრულდა... თანამშრომლობა მნიშვ-ნელოვნად ღრმავდება სავაჭრო-ეკონომიკურ, ტურიზმისა და ტექნოლოგიების სფეროებში. პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ საქართველო-ჩინეთის ურთი-ერთობები პატივისცემისა და თანასწორობის პრინციპებს ეფუძნება და სტაბილურად ვითარდება. **2025 წლის პირველ ნახევარში, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, საქართველოში ჩინური ინვესტიციები 229%-ით გაიზარდა.**“ **მანიპულაციურია**

ოფიციალური სტატისტიკით არ დასტურდება!

„2 ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობა ჯერ მხოლოდ ორ წელს ითვლის, მაგრამ უკვე გვაქვს ხელშესახები შედეგები სხვადასხვა მიმართულებით... 2025 წლის იანვარ-აგვისტოში ჩინეთიდან და ჩინეთში, შუა დერეფნით, საქართველოს გავლით, გადაზიდული კონტეინერების რიცხვი, შარშანდელთან შედარებით, 70.6%-ით გაიზარდა. რეკორდულად იზრდება ინვესტიციებიც...“

ჟურნალისტი სანდრო გამსახურდია



ჩინეთის, როგორც გლობალური სტაბილურობის განმსაზღვრელი ქვეყნის, როლი “იმედზე“ რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქებისას კიდევ უფრო მკვეთრად ჩანდა. ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა ყოველდღიურად წარმოაჩენდა, რომ **უკრაინა სუსტი და მოლაპარაკებების პროცესში პასიური მოთამაშეა, ხოლო ჩინეთი მთავარი მედიატორი, რომელსაც დასავლეთის არასწორი მიდგომები და პოლიტიკა ხშირად აფერხებს. „იმედი“ ამ დაპირისპირებაში ჩინეთს გამოარჩევდა, როგორც სამშვიდობო პროცესის წარმატებით დასრულების პოტენციალის მქონე ცენტრს, რომელსაც ხელს უშლიან მისი გავლენის ზრდის შიშით.**

„უკვე გამოიკვეთა, რომ უკრაინის ომის მოგვარების საკითხში, მთავარ მომლაპარაკებლად ჩინეთი ჩაერთვება...ინაცვლებს თუ არა მოლაპარაკებათა მაგიდა ოფიციალური პეკინის ორბიტაზე? დონალდ ტრამპმა პირდაპირ თქვა, რომ პრეზიდენტ სი ძინპინს სატელეფონო საუბრისას უთხრა, რომ ეს საკითხი სწორედ მან უნდა მოაგვაროს.“

„დღის ქრონიკა“, ნატა მახვილაძე, 22 იანვარი, 2025

“ჩინეთი ძალიან კარგად აკეთებს ამ კონფლიქტის და შოუმენების მოზღვავების მენეჯმენტს ამ კონფლიქტის გარშემო, როგორებიც არიან ევროპის ლიდერები, განსაკუთრებით, თვითონ ზელენსკი... ჩინეთის იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ მომავალში, ვინაიდან ჩინეთი უფრო მოქმედებს ძალიან მაღალ დიპლომატიურ რანგში და მოქმედებს ძალიან დახვეწილად“.

„დღის ქრონიკა“, ბიძინა გიორგობიანი, 15 მაისი. 2025

“POSTV”

POSTV-ის სარედაქციო ხაზი იმეორებს ტელეკომპანია „იმედის“ მიდგომას - ორივე ტელეკომპანია მკვეთრად პრო-სამთავრობო და პრო-ჩინურია. მათი ნარატივი სისტემატურად ემსახურება ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსის ლეგიტიმაციასა და გამყარებას. თუმცა, POSTV-ის გაშუქება გამოირჩეოდა უფრო აგრესიული, რადიკალური და ხშირად პოლემიკური, ზოგ შემთხვევაში კი უხეში ლექსიკით. არხის გადაცემებში დასავლეთის მიმართ გამოიყენებოდა მკვეთრად დისკრედიტაციული ტერმინები, როგორიცაა „პორნოლიბერალური ევროპა“, „დეგრადირებული“ ან „გახრწნილი დასავლეთი“, რომლისგანაც საქართველო უნდა გათავისუფლდეს, რაც დისკურსს აშკარად ემოციურ და კონფრონტაციულ ხასიათს ანიჭებდა.

ამავე დროს, POSTV-ზე ჩინეთის გლობალური როლის გაშუქება სისტემატურად აძლიერებდა სამ ძირითად ხაზს:

- სი ძინპინისა და ჩინეთის პოზიციონირებას, როგორც ახალი მსოფლიო ძალაუფლების ცენტრს;
- დასავლეთის, განსაკუთრებით, ევროკავშირის დელეგიტიმაციას და აშშ-ის კრიტიკას;
- “დიფ სთეითის” გავლენების შესახებ ნარატივის აქტუალიზაციას.

„პორნოლიბერალური დასავლეთი მთლიანად ჩამოიშალა და ჩვენ ამას ვხედავთ... გერმანია რეცესიაშია, მერცი სად ბანაობს, კაცმა არ იცის, ისეთ განცხადებებს აკეთებს; მაკრონის რეიტინგი 15%-ია, ეკონომიკური კოლაფსი აქვთ; ბრიტანეთზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია, ლონდონაბადია, ლონდონი აღარ არის... ეს პორნოლიბერალური დემოკრატია მსოფლიოში უნდა დამთავრებულიყო და დამთავრდა კიდეც... კიდევ ევროკავშირის დროშებით დარბიან აქ. ამ ჩამოქცეული გაერთიანების, რომელსაც არანაირი მომავალი აღარ აქვს, მაგის დროშით დარბიან...“

“დიდი გადაცემა”, გოგა ხაინდრავა, 5 სექტემბერი, 2025 წელი.

„ჩინეთი ერთადერთი მშვიდობიანი სუპერსახელმწიფოა თანამედროვე მსოფლიოში, რაც ბოლო ათწლეულების ისტორიამ დაადასტურა. აქ ცდილობენ გაშავებას, ყველანაირი ეპითეტებით ამკობენ ჩინეთს, ცდილობენ რაღაც შავ სახელმწიფოდ წარმოაჩინონ, მაგრამ ფაქტებზე დაფუძნებულ დასკვნებზე რომ ვისაუბროთ, 1979 წლის შემდეგ, ამხელა რესურსების მქონე სუპერსახელმწიფო არცერთ ომში არ ყოფილა ჩართული.“

„დიდი გადაცემა“, ირაკლი კობახიძე, 21 ნოემბერი 2025 წელი

არხი მიზანმიმართულად ცდილობდა შეექმნა ნარატივი, რომლის მიხედვითაც დასავლეთში „ლიდერობა ღრმა კრიზისშია“, ხოლო ჩინეთში - „მტკიცე, ეფექტიანი და ჰარმონიული მმართველობაა“.

„დონალდ ტრამპი წერს, ჩინეთის პრეზიდენტი იჯდაო ჩემს წინო და მის გვერდით 6 ჩინოსანი. ერთ-ერთს ვკითხე რაღაც, მან არ მიპასუხა, ვიცე-პრეზიდენტის სტატუსის მქონეს ვკითხე - მიპასუხებ? დუმილი.. და პრეზიდე-ნტმა სი ძინპინმა თქვა, რომ ის უპასუხებდა ყველა შეკითხვას. როგორ მინდა, რომ ჩემი კაბინეტის წევრებიც ასე იქცეოდნენ, ისხდნენ გაჭიმულები და შეშინებულები. ასეთი რამ ჯერ არასდროს მინახავსო...“

გადაცემა „სამნი & Co“, შალვა რამიშვილი, 5 ნოემბერი, 2025

მაშინ, როდესაც სამთავრობო მედიის წამყვანები და ჟურნალისტები ცდილობდნენ ჩინეთის მმართველობის მოდელის პოზიტიურ და სტაბილურ ალტერნატივად წარმოჩენას, ავტორიტეტული დასავლური გამოცემები სრულიად განსხვავებულ სურათს აღწერდნენ. მაგალითად, The New York Times სტატია „რატომ ჩამოიშორა სი ძინპინმა ლოიალისტები? პასუხებისთვის მაოსა და სტალინს მივმართოთ” “Why Does Xi Keep Purging Loyalists? Look to Stalin and Mao for the Answer.” გაანალიზებულია ამერიკისა და ჩინეთის ინფორმაციული გამჭვირვალობის არსებითი განსხვავებები. სტატიაში ხაზგასმულია, რომ სი ძინპინი მკაცრად აკონტროლებს სენსიტიური ინფორმაციის გავრცელებას, მათ შორის, ყოფილი პოლიტიკური ფიგურების ჩამოშორების საკითხს, რაც ოფიციალური განმარტებების სიმწირესა და ინფორმაციულ ვაკუუმს ქმნის... მედია საუბრობს ძალაუფლების შიდა რყევებზე და „ლოიალისტების“ ნაწილის შესაძლო წინააღმდეგობაზე. სტატიის ავტორები ისტორიულ პარალელს ავლებენ მაო ძედუნსა და იოსებ სტალინთან, რომელთა მმართველობისას **ელიტის პერიოდული „გასუფთავება“ ძალაუფლების კონსოლიდაციის მექანიზმად გამოიყენებოდა.** სტატიაში ციტირებულია ისტორიკოსი სტივენ კოტკინი, რომლის შეფასებით, **კომუნისტური სისტემის ერთ-ერთი პარადოქსი ის არის, რომ იგი საკუთარ „ლოიალისტებსაც“ანადგურებს.** ამ კონტექსტში, ჩინეთში რეპრესიების ზრდა მმართველობის შიდა არასტაბილურობისა და „სტალინური ლოგიკის“ გამოვლინებადაა წარმოდგენილი - როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ლიდერს ელიტაზე კონტროლის გამკაცრებისა და ძალაუფლების განმტკიცების საშუალებას აძლევს.

„ობიექტივი“

ტელეკომპანია „ობიექტივის“ გადაცემათა ციკლი - „ჩინური პანორამა“ ჩინეთის მიმართ თავისი მკვეთრად პოზიტიური ტონალობით, „ობიექტივის“ იდეოლოგიური ხაზის ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაციაა. გადაცემას ჩინეთის საელჩო აფინანსებს. ამ ფაქტს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკურ პორტალზე განთავსებული მონაცემები ადასტურებს.

გადაცემის კონტენტი სრულად არის მიმართული ჩინეთის საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის, საერთაშორისო ინიციატივების, ეკონომიკური პროექტებისა და გეოპოლიტიკური ამბიციის პოპულარიზებაზე და პროპაგანდისტული ნარატივების გავრცელებაზე. გადაცემების თემები ორიენტირებულია ჩინეთთან პარტნიორობის პოზიტიური იმიჯის შექმნაზე, სტრატეგიული კავშირების გაღრმავების მნიშვნელობის წარმოჩენაზე, საქართველო-ჩინეთის პოლიტიკური პარტნიორობის მნიშვნელობაზე და ახალგაზრდებს/სტუდენტებს შორის მზარდი თანამშრომლობის პოპულარიზაციაზე.

„ჩინური პანორამის“ გადაცემების მოდელი, რბილი ძალის კლასიკური მეთოდებით, თანხვედრაშია იმ პრაქტიკასთან, რომელსაც ჩინეთი იყენებს სხვადასხვა რეგიონში პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სიმპათიის მოსაპოვებლად. გადაცემებში ხშირად იკვეთება საქართველოსთვის ევროატლანტიკური არჩევანის ალტერნატიული გზის შეთავაზების ტენდენციაც.

„ჩინეთი არ ჰყოფს ქვეყნებს დიდ და პატარა სახელმწიფოებად და ამის ნათელი დასტური იყო ირაკლი კობახიძის ვიზიტი ჩინეთში, როგორ დიდებულად დახვდნენ მას და პატივისცემით. ჩინეთი ყველა თავის მეგობრულ სახელმწიფოს სცემს პატივს... ამიტომ ბევრი ჩინეთი საქართველოში, იქნება ბევრი სტაბილურობა, მოგვიტანს ბევრ სტაბილურობას... გლობალიზაციის წამყვანი ძალა, დღეს მსოფლიოში ხდება ჩინეთი“....

“მიუხედავად ჩინეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერისა, ჩინეთის საგარეო პოლიტიკას მშვიდობის იდეა ლამპრად მიყვება და ერთ-ერთი მამოძრავებელია მისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის“.

„ჩინური პანორამა“, ბადრი ნაჭყებია, 10 იანვარი, 2025

„ჩინურ პანორამაში“ ჩინეთი ყოველთვის წარმოჩენილია, როგორც მსოფლიო ლიდერი ქვეყანა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პოლიტიკაში, სხვადასხვა რეგიონულ კონფლიქტებსა და ეკონომიკაში. გადაცემებში განხილულია ჩინეთის სტრატეგიული ინიციატივები, როგორიცაა ე.წ. შუა დერეფანი, „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ინიციატივა და, ზოგადად, ჩინეთის, როგორც მშვიდობისმყოფელის და მომგვარებლის როლი სხვადასხვა კონფლიქტსა თუ რეგიონში.

მაგალითისთვის, 10 ივნისის გადაცემაში სტუმარი თსუ-ს დოქტორანტი თორნიკე ჩივაძე და გადაცემის წამყვანი ბადრი ნაჭყებია საუბრობდნენ ჩინეთთან დაკავშირებული „ნეგატიური მითების“ არსებობაზე, განსაკუთრებით, აფრიკის კონტინენტზე ჩინეთის აქტივობის კონტექსტში. ბადრი ნაჭყებიას შეფასებით, გავრცელებული ბრალდებები „არაცივილიზებულ ექსპანსიასა“ და ჩინეთის მიერ აფრიკის ქვეყნების რესურსების დაუფლების შესახებ მითებია და არ შეესაბამება სიმართლეს.

„ჩინეთი შედის აფრიკაში და აშენებს სკოლებს, გზებს, ინფრასტრუქტურას, ეხმარება მათ სხვადასხვა სოციალური პროექტების განხორციელებაში. ჩინეთი შედის ისეთ რეგიონებში, სადაც არ შედის დასავლური კორპორაციები, ჩინეთის ასეთი პოზიტიური აქტივობა კულისებს მიღმა რჩება და საზოგადოებამ არ იცის ამის შესახებ, იცის მხოლოდ ის მითები, რომლებსაც ავრცელებენ“.

„ჩინური პანორამა“, ბადრი ნაჭყებია, 10 ივნისი 2025

“ჩინეთ-აფრიკის ურთიერთობები მეტწილად ეკონომიკური რაციონალობით არის განპირობებული: მზარდი ეკონომიკა საჭიროებს რესურსებს, რესურსებით მდიდარი რეგიონია აფრიკა, ეკონომიკური რაციონალობა საკმაოდ დიდია... ჩვენ არ უნდა დაგვებინდოს გონება, რომ დავიჯეროთ მითები ერთი მიმართლებით მხოლოდ. ... ჩინეთი ცვლის სამყაროს.“

„ჩინური პანორამა“, თორნიკე ჩივაძე, 10 ივნისი 2025

გადაცემებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პრეზიდენტ სი ძინპინის ლიდერობის სტილსა და მის გავლენას ჩინეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. იგი წარმოჩენია, როგორც სტრატეგიული და კონსოლიდირებული ძალაუფლების მქონე ლიდერი, რომლის ხედვა განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების გრძელვადიან კურსს. განსაკუთრებით გამოკვეთილად ხაზგასმულია მისი როლი ეკონომიკური მოდერნიზაციის, გეოპოლიტიკური გაძლიერებისა და ჩინეთის გლობალურ ძალად პოზიციონირების პროცესში, რაც მის პოლიტიკურ ფიგურას ცენტრალურ ადგილს ანიჭებს მთელ დისკურსში.

„პრეზიდენტი სი ძინპინის გეგმა „ერთი გზა ერთი სარტყელი“ გულისხმობს მსოფლიო კულტურათა მშვიდობიან თანაარსებობას, კულტურათა დიალოგს, ყოველგვარი ზეწოლის და ყოველგვარი ანექსიის გარეშე. იმის გარეშე, რაც აქვს აგრესიულ გლობალიზმს. აგრესიული გლობალიზმი არის სამყაროს ვერსტერნიზაცია, ამერიკანიზაცია და გადართვა დასავლურ თარგზე. ჩინეთი სხვა ალტერნატივას გვთავაზობს. მისი შემოსვლა აქ სიტუაციას დაალაგებს. მთელი რიგი სხვადასხვა სენსიტიური საკითხები, იგივე აფხაზეთის თემა, სამხრეთ კავკასიაში არსებული გამოწვევები, ამას ამ სახელმწიფოს შემოსვლა აქ დაალაგებს და მოაწესრიგებს მშვიდობიანად.“

„ჩინური პანორამა“, თემურ ფაჩულია, 7 მარტი 2025

„TV პირველი “

მონიტორინგის პერიოდში „TV პირველის“ სიუჟეტები მკაფიოდ ასახავდა სარედაქციო პოლიტიკას, რომელიც ჩინეთს, რუსეთთან და ირანთან ერთად, ერთიან ავტორიტარულ ბლოკად წარმოაჩენდა.



პოზიტიური ტონი, უმეტესწილად, მხოლოდ ხელისუფლების განცხადებების გაშუქებით იქმნება, ხოლო თავად არხის სარედაქციო ნარატივი ნეგატიურია. კრიტიკული აქცენტები ძირითადად ორი მიმართულებით გვხვდება:

- საქართველოს ხელისუფლების საგარეო კურსის განხილვა, როგორც დასავლური ინტეგრაციისგან დაშორების მანიშნებელი;
- ჩინეთთან გაღრმავებული თანამშრომლობის შესაძლო პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების რისკები.

ოფიციალური ვიზიტებისა და საქართველო-ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობების გაშუქება არხზე ძირითადად ორიენტირებული იყო კონტრასტის შექმნაზე ხელისუფლების პოზიტიურ მესიჯებსა და ოპოზიციის/ექსპერტების კრიტიკულ შეფასებებს შორის.

საერთაშორისო პოლიტიკის გაშუქებისას „TV პირველი“ ჩინეთს, უმეტესად რუსეთისა და ირანის გვერდით, როგორც ავტორიტარულ პარტნიორს წარმოაჩენდა. სიუჟეტებში ხშირად იყო ციტატები დასავლელი პოლიტიკოსების კრიტიკული შეფასებებიდან, განსაკუთრებით, აშშ-ის კონგრესმენების გამოსვლებიდან. სი ძინპინის მიმართ ჭარბობდა უარყოფითი კონტექსტი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მის პარტნიორობას პუტინთან, მონაწილეობას მოსკოვის სამხედრო აღლუმებში და მის როლს „ავტორიტარული ბლოკის“ ერთ-ერთ ლიდერად წარმოჩენაში.

არხის მკაფიო ნეგატიური მიმართულებები იყო:

- ანაკლიის პორტში ჩინური კომპანიის შესაძლო ჩართულობა;
- „MEGOBARI აქტის“ გაშუქება;
- ამერიკის მიერ დასანქცირებული ჩინური კომპანიიდან საქართველოს მთავრობის მიერ სათვალთვალო კამერების შესყიდვის თემა.

არხმა აღნიშნულ საკითხზე არაერთი სიუჟეტი მოამზადა. ამავე თემის ფარგლებში, „TV პირველმა“ ფართოდ გააშუქა არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა „სამოქალაქო იდეას“ ანგარიშებსა და განცხადებას, რომელიც მედიამ ცალკე სიუჟეტად გააშუქა სათაურით - “ოცნებამ” პროტესტის მონაწილეთა იდენტიფიკაციისთვის 2 თვეში 485 877 ლარის ღირებულების ჩინური კამერა შეიძინა”.

„ერთდროულად ამერიკასთან და ჩინეთთან თანამშრომლობა არ გამოვა. სამოქალაქო საზოგადოება პირდაპირ ამბობს, რომ ახლა ოლიგარქის რეჟიმმა უნდა გააკეთოს მთავარი არჩევანი: ირჩევს დასავლეთს, დემოკრატიასა და განვითარებას, თუ ირჩევს კომუნისტურ ჩინეთს, რომლის რეალური მიზანიც ეკონომიკაში შემოსვლის შემდეგ გახდება პოლიტიკურად ჩარევა ქვეყანაში, რადგან პრაქტიკა სწორედ ამას აჩვენებს არასამთავრობო ორგანიზაციებს. ყოველთვის, ჩინეთის ხელში აღმოჩენილი ეკონომიკური ბერკეტები ხდება ხოლმე დამატებით მისთვის პოლიტიკური ქმედებების საგანი და საშუალება. შესაბამისად, იგივე რისკი დღეს დგას საქართველოშიც“.

“პირველები“, ლიკა ჯანყარაშვილი, 3 აპრილი 2025

მედიაგაშუქების შედარებითი ანალიზით, „TV პირველი“ იყო არხი, რომელიც აშუქებდა იმ თემებს, რომელსაც პროსახელისუფლებო ტელევიზიები არ ეხებოდნენ და რომელიც ფართოდ იყო წარმოდგენილი დასავლურ მედიაში. სწორედ ამის მაგალითია ჩინური წარმოების სათვალთვალო კამერების გამოყენების მასშტაბურობის შესახებ მომზადებული თემები იმავე კუთხით, როგორც ამას აკეთებდნენ ავტორიტეტული დასავლური გამოცემები. მაგალითად, The New York Times სტატია „შეგვიძლია ჩინურ კამერებში ჩვენი მომავლის დანახვა?“, რომელიც გვიყვება ჩინეთში ფართოდ გავრცელებულ სათვალთვალო კამერებზე და ამტკიცებს, რომ ისინი არა მხოლოდ დანაშაულის აღსაკვეთად, არამედ რეჟიმისთვის არასასურველი პირების კონტროლის მიზნით გამოიყენება.

„TV პირველი“ ჩინეთთან დაკავშირებით ქმნიდა ნარატივს, რომლის მიხედვითაც:

- ჩინეთი წარმოადგენს სტრატეგიული, პოლიტიკური და დემოკრატიული უსაფრთხოების გამოწვევას;
- ჩინეთთან საქართველოს ხელისუფლების თანმიმდევრული თანამშრომლობა დასავლური კურსის შესუსტების ნიშანია;
- ჩინეთი რუსეთის გლობალური პარტნიორი და საერთო „ავტორიტარული ღერძის“ შემადგნელი ნაწილია;
- ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩინეთის მონაწილეობა წარმოადგენს ქვეყნისთვის სტრატეგიული კონტროლის დაკარგვის რისკს.

BM.ge, როგორც ბიზნესსა და ეკონომიკაზე ორიენტირებული მედია, აქტიურად აშუქებდა ჩინეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ აქტივობებს. მასალები, ძირითადად, ფაქტობრივ და სტატისტიკურ ინფორმაციაზე იყო დაფუძნებული.

ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ანალიზისას, BM.ge ქმნიდა განსხვავებულ ხედვას: ანალიტიკური მასალები აერთიანებდა პოზიტიურ და კრიტიკულ შეფასებებს, რაც აუდიტორიას აჩვენებდა მრავალშრიან სურათს.

მედია დიდ ყურადღებას უთმობდა „ქართული ოცნების“ ოფიციალური ვიზიტების, მემორანდუმებისა და თანამშრომლობის პროგრამების გაშუქებას, სადაც აუდიტორიას, ძირითადად, პოზიტიურ ტონში ოფიციალური განცხადებები და პოზიციები მიეწოდებოდა. აღნიშნულ მასალებში აქცენტი კეთდებოდა პარტნიორობის პერსპექტივებსა და თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე. თუმცა, განსხვავებული სარედაქციო ტონი გამოიკვეთა საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხების გაშუქებისას, განსაკუთრებით, ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით, სადაც მედია კრიტიკულად აშუქებდა ჩინური კონსორციუმის მონაწილეობას, ხაზს უსვამდა გეოპოლიტიკურ გამოწვევებს, დასავლელ პარტნიორებთან დაპირისპირებას და შესაძლო ფინანსურ/პოლიტიკურ რისკებს. მაგალითისთვის, გადაცემა „წერტილი თელარა გელანტიასთან ერთად”. ასევე, მედიამ გაავრცელა ანაკლიის პორტის პროექტში ჩინური კონსორციუმის მონაწილეობასთან დაკავშირებით ამერიკის ელჩის, რობინ დანიგანის კრიტიკული განცხადებაც:

„CCCC კომპანიის უმეტესი ნაწილის მფლობელი, რომელთანაც საქართველოს მთავრობამ [ანაკლიის პროექტში] კონტრაქტი დადო, ჩინეთის კომუნისტური პარტიაა. ჩინეთის კომუნისტური პარტია, რუსეთის არმიის ნომერი პირველი ფინანსისტია დღეს. ასე რომ, ერთი კითხვაა, რატომ უნდა გააღრმაო ეკონომიკური კავშირი იმ პარტიასთან, რომელიც აფინანსებს თქვენს ოკუპანტს?“

BM.ge ნეგატიურად აშუქებდა საქართველოს მთავრობის მიერ ჩინური სათვალთვალო კამერების შესყიდვის თემასაც. საუბარი იყო მონაცემთა უსაფრთხოებაზე, შესაძლო ზედამხედველობის რისკებსა და ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე. მედიამ ვრცლად გააშუქა „სამოქალაქო იდეას“ განცხადება და ანგარიში ამ თემაზე - „ოცნება“ აქციის მონაწილეებს ჩინური კამერებით აკონტროლებს“.

მასალებში ხშირად იყო მოხსენიებული „კომუნისტური ჩინეთი“, რაც ასახავს მედიის დამოკიდებულებას ჩინეთის პოლიტიკური სისტემის მიმართ.

BM.ge ქმნიდა მრავალშრიან, ფაქტობრივად დაბალანსებულ სურათს ჩინეთის როლისა და გავლენის შესახებ. პლატფორმა ავრცელებდა ოფიციალურ-პოზიტიურ, ნეიტრალურ მასალებს და კრიტიკულ მასალებს ანალიტიკურ შეფასებებთან ერთად, რაც აუდიტორიას სრულყოფილ ხედვას სთავაზობდა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური გამოწვევების და სტრატეგიული პარტნიორობის კონტექსტში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამონიტორინგი და ანალიზი ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან მისი სარედაქციო პოლიტიკა განსაზღვრულია სპეციალური სამართლებრივი ჩარჩოთი. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით (მუხლი16) საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივ ვალდებულებებში პირდაპირაა განსაზღვრული, რომ მაუწყებელი ვალდებულია **„უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ - ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულა-რიზაცია.“**

ამასთანავე, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით მოქმედ მედიას, აქვს ობიექტური, დაბალანსებული და მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, განსხვავებული პოზიციების წარმოჩენითა და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვით.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია ჩინეთთან დაკავშირებული მასალების რაოდენობა, რაც დროში ემთხვევა საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებასა და ოფიციალური ვიზიტების გახშირებას. აღნიშნული გარემოება აჩვენებს, რომ გაშუქების ზრდა მხოლოდ საინფორმაციო ინტერესით არ არის განპირობებული და პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიმართულების რეორიენტაციასთან.

მაუწყებლის გაშუქებაში ჭარბობდა მმართველი გუნდის პოზიციები როგორც რაოდენობრივად, ისე - შინაარსობრივად. კრიტიკული შეფასებები წარმოდგენილი იყო შეზღუდულად და ფრაგმენტულად, მოკლე ქრონომეტრაჟით და ხშირად ისეთ კონტექსტში, რომელიც მათ მნიშვნელობას ამცირებდა. დროის განაწილება და სარედაქციო ტექსტები ქმნიდა ისეთ საინფორმაციო ჩარჩოს, რომელიც **ვერ უზრუნველყოფდა საკითხის დაბალანსებულ წარმოჩენას.**

მაუწყებელი ხშირად ეყრდნობოდა ჩინეთის ოფიციალური უწყებებისა და სახელმწიფო მედიის (მათ შორის, Xinhua), ინფორმაციას, რომელიც ჩინეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო Xinhua News Agency-ის ოფიციალური ვებგვერდია და ფუნქციონირებს, როგორც ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ოფიციალური საინფორმაციო ხმა. ეს პრაქტიკა აძლიერებდა ჩინეთის ოფიციალური პოზიციების ლეგიტიმაციას.

ჩინეთთან ურთიერთობები, ძირითადად, წარმოჩენილი იყო ეკონომიკური სარგებლის, სავაჭრო ბრუნვის ზრდის, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების ჭრილში. უსაფრთხოების, გეოპოლიტიკური ან ფინანსური რისკები, მათ შორის, ეროვნული ბანკის მემორანდუმის შემთხვევაში, პრაქტიკულად არ განიხილებოდა, რაც დისკურსს ცალმხრივ პოზიტიურ განზომილებაში აქცევდა.

განათლებისა და კულტურის თემები ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ ტონში შუქდებოდა და ჩინეთის რბილი ძალის გავლენის შესაძლო ასპექტებს პრაქტიკულად არ ეხებოდა. ჩინური ენის სწავლების გაფართოება საჯარო

სკოლებში, დიპლომების აღიარება და კულტურული ღონისძიებები წარმოჩენილი იყო როგორც განვითარების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და გახსნილობის ინდიკატორები, კრიტიკული თუ სკეპტიკური შეფასებების გარეშე.

საერთაშორისო კონტექსტში ჩინეთი ხშირად წარმოდგენილი იყო როგორც დიალოგისა და სტაბილურობის მხარდამჭერი ძალა, რომელიც მონაწილეობს მრავალპოლარული წესრიგის ფორმირებაში. ჩინეთ-რუსეთის პარტნიორობა გაშუქდა სტრატეგიული სიმტკიცისა და გარე ზეწოლისადმი მედეგობის ჩარჩოში.

გაშუქება ხშირად ვერ უზრუნველყოფდა თემის მრავალმხრივ, დაბალანსებულ და მიუკერძოებელ წარმოჩენას, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონით განსაზღვრულ ვალდებულებას წარმოადგენს. ხელისუფლების პოზიციები და განცხადებები უმეტესად გადმოიცემოდა სიღრმისეული ანალიზისა და ალტერნატიული შეფასებების გარეშე, რის შედეგადაც ყალიბდებოდა ჩინეთთან თანამშრომლობის მიმართ უფრო დადებითი და ნაკლებად კრიტიკული საინფორმაციო სურათი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო მიდგომა ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების მიმართ ნათლად ჩანს 22 იანვრის 21:00 საათიანი „მოამბის“ სიუჟეტში - „ახალი საერთაშორისო დღის წესრიგი და საქართველო“.

სიუჟეტის ნარატივი და დროის განაწილება მკაფიოდ აჩვენებს სარედაქციო პრიორიტეტებს: თითქმის ათ წუთიან მასალაში ოპოზიციის კომენტარებს დაეთმო 50 წამი, დანარჩენი დრო კი წამყვანისა და სიუჟეტის ავტორის ტექსტებს, ასევე, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა პოზიციებს.



სიუჟეტის სარედაქციო ნარატივი: გლობალურ პოლიტიკაში ძალთა ბალანსი იცვლება, ხოლო ჩინეთთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია და არ წარმოადგენს პრობლემას დასავლეთთან ურთიერთობებისთვის. სიუჟეტში ხელისუფლების პოზიცია ფართოდ და არგუმენტირებულად არის წარმოდგენილი, ხოლო კრიტიკული შეფასებები - დროითა და შინაარსით შეზღუდული. სარედაქციო აქცენტები, ძირითადად, ემთხვევა „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკურ ხედვას და ნაკლებ შესაძლებლობას ტოვებს ალტერნატიული პოზიციების სრულფასოვანი წარმოჩენისთვის, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ თემის დაუბალანსებელ გაშუქებაზე მიუთითებს.

სარედაქციო ტექსტი: „დონალდ ტრამპმა საკუთარ ინაუგურაციაზე მსოფლიო ლიდერებიდან ერთ-ერთ პირველი ჩინეთის პრეზიდენტი მიიწვია... ამერიკის 47-ე პრეზიდენტმა თქვა ისიც, რომ სი ძინ პინს ტელეფონით ესაუბრა და ორი ქვეყნის ლიდერები ყველაფერს გააკეთებენ, რათა მსოფლიო უფრო მშვიდობიანი გახდეს. ოფიციალურ პეკინთან ურთიერთობების გაღრმავებაზე ბოლო თვეებია, აქტიურად საუბრობენ ბრიუსელშიც... „ქართული ოცნების" ხელისუფლებას კი ოპონენტები, სწორედ, ჩინეთთან მჭიდრო პარტნიორობის გამო აკრიტიკებენ..."

კრიტიკული პოზიცია სიუჟეტში წარმოდგენილი იყო ქართული ოპოზიციისა და ამერიკელი კონგრესმენის ჯო ვილსონის მიერ. ვიზუალური და შინაარსობრივი აქცენტებით ბ-ნი ვილსონი და ოპოზიცია ერთ კონტექსტში იყვნენ მოქცეულნი. მთავარი ნარატივი კი გვამცნობდა, რომ კონგრესმენ ვილსონის განცხადებები არ წარმოადგენს აშშ-ის ოფიციალურ პოზიციას, ვინაიდან ამერიკის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ უფრო პრაგმატულია. სიუჟეტის დასკვნით ნაწილში ჟურნალისტი ინტერესთა თანხვედრას ასახელებდა საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელ ფაქტორად, რაც სომხეთისა და უნგრეთის მაგალითებით არის გამყარებული.

„სომხეთსა და ირანს შორის მჭიდრო ურთიერთობებს ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ამერიკა-სომხეთს შორის სტრატეგიული ურთიერთობების დოკუმენტი გაფორმებულიყო. ასეთივე პარტნიორობა ბაიდენის ადმინისტრაციამ საქართველოსთან შეაჩერა, ქვეყნის რუსული ორბიტისკენ სწრაფვის ბრალდებით. სხვათაშორის, ერთ-ერთი ვიზიტისას, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ღიად თქვა, რომ ის რასაც საქართველო ახლა გადის, უკვე გაიარა და პერიოდულად თავს ახსენებს უნგრეთს... თუმცა, კრიტიკა კრიტიკად დარჩა და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, დონალდ ტრამპმა ერთ-ერთი პირველი ფლორიდის რეზიდენციაში სწორედ ძველი მეგობარი, ორბანი მიიწვია და ყველას კიდევ ერთხელ შეახსენა მსოფლიოს რომელ ნაწილში, ვისზე დებს პარტნიორობის ფსონს."

„მოამბე", ჟურნალისტი სალომე ქოქიაშვილი, 22 იანვარი 2025

შედარებისთვის, ის საკითხები, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერესის სფეროში პრაქტიკულად არ ხვდებოდა, იმავე პერიოდში აქტიურად იხილებოდა ბრიტანეთის საზოგადოებრივ მაუწყებელში. BBC-ის ანალიზმა აჩვენა, რომ ბრიტანული საზოგადოებრივი მაუწყებელი საკითხს მრავალმხრივ და ობიექტური ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით აშუქებდა. მათ შორის, კრიტიკულად შუქდებოდა პრეზიდენტ სი ძინპინის

- მმართველობა;
- მცდელობები ავტორიტარ პარტნიორებთან ერთად ალტერნატიული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებისკენ;
- ურთიერთობა ვლადიმირ პუტინთან.

პარალელურად, აქტიურად შუქდებოდა ჩინეთის შიდა პროცესები.

BBC-ის მასალებში მკვეთრად ჩანს პრეზიდენტ სი ძინპინის პოლიტიკური სახე. ლიდერი, რომელიც დისიდენტებს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ

საზღვრებს გარეთაც დევნის. გამოცემა აშუქებდა თვალთვალის, ზეწოლისა და რეპრესიული პრაქტიკის შემთხვევებს, რაც რეჟიმის კრიტიკოსების გაჩუმებას ისახავს მიზნად.

მონიტორინგის პერიოდში, BBC-ის სარედაქციო ხაზი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დაკავშირებით მრავალფეროვანი იყო. მაგალითად, მნიშვნელოვანი დრო დაეთმო ტიბეტის საკითხებს, ბერების უფლებების შეზღუდვას და მონასტრების კონტროლს. ასევე, ბევრი მსჯელობა იყო ტაივანის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, საფრთხეებზე და ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე. განიხილავდნენ ჩინეთის მიერ შესაძლო თავდასხმის სცენარებსა და მექანიზმებს, დაპყრობის სიმულაციებს, მასშტაბურ დეზინფორმაციულ კამპანიებს და სხვა. მსგავსი თემები საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელის ინტერესის სფეროში ვერ მოხვდა, რაც მიუთითებს საერთაშორისო დღის წესრიგში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე კრიტიკული და სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობას და ნაკარნახევი იყო საქართველოს სახელისუფლებო შიდა პოლიტიკური დღის წესრიგით.

ონლაინმედია

ონლაინმედიის მონიტორინგმა საანგარიშო პერიოდში აჩვენა, რომ წინა წლებთან შედარებით, პროსახელისუფლებო მედიაში გაზრდილია კონტენტის რაოდენობა, სადაც განსაკუთრებით გამოკვეთილია ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური როლი გლობალურ პროცესებში. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს ინფორმაციულ დღის წესრიგში ჩინეთის გავლენის ზრდასა და მისი პოზიციონირების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე.

ამასთან, წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად გაზრდილია ახალი ამბები ქართულ-ჩინურ დიპლომატიურ ურთიერთობებზე, სავაჭრო ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და პარტნიორობის პერსპექტივებზე, რის შედეგადაც იზრდება ჩინეთის მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული საინფორმაციო მასალების მოცულობა. ეს ტენდენცია კი მიუთითებს ჩინეთის მნიშვნელობის გაძლიერებულ პოზიციონირებაზე პროსახელისუფლებო მედიის საინფორმაციო დღის წესრიგში.

“SPNews”

პროსახელისუფლებო მულტიმედიური საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი **spnews.ge**, რომელიც „სამოქალაქო იდეას“ ანგარიშში პირველად მოხვდა, წარმოადგენს ერთ-ერთ მედიაპლატფორმას, რომელიც ჩინეთის პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაციას ემსახურება. აღნიშნული მედიასაშუალება მკაფიოდ მიჰყვება სახელისუფლებო ნარატივებს და პარალელურად ასრულებს ჩინეთის ინტერესების კომუნიკაციის აქტიური გამტარის ფუნქციას.

პლატფორმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართულ-ჩინური ურთიერთობების გაშუქებას და რეგულარულად აქვეყნებდა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, ბიზნეს შეხვედრების, ოფიციალური

ვიზიტებისა და სხვადასხვა ფორუმების შესახებ მასალებს. პლატფორმის კონტენტი ხელს უწყობს საჯარო სივრცეში ჩინეთთან ურთიერთობების პოზიტიური აღქმების გამყარებას და ამ თემის პრიორიტეტულად წარმოჩენას. მაგალითად, სტატია - ჩინეთი საქართველოსთვის ყველაზე რაციონალური და სტაბილური პარტნიორი

> **"პეკინი არ იზიარებს კონცეფციას "საქართველო = ევროკავშირი/ნატო" თუმცა, პატივს სცემს თბილისის არჩევანს."**
>
> **„სანამ ვაშინგტონში ძირითადად "პერფორმანსული" ღონისძიებები ტარდება, თბილისი და პეკინი ლაპარაკობენ ისე, როგორც ეს საქმიან პარტნიორებს შეეფერება...ჩინეთი ჩვენთვის არის ე.წ. "გრძელვადიანი ფული", არა გრანტი „ერთჯერადი პროგრამებით", არამედ 25-30 წლიანი კრედიტები ინფრასტრუქტურაზე... ჩინეთი არის მანევრის საშუალება, ჩვენი ქვეყნის განვითარების ალტერნატივა..."**

„ხალხის ძალა",დავით ქართველიშვილი, 11 ნოემბერი 2025

SPNews ქრონოლოგიურად ქმნის მეხსიერებას ჩინეთ-საქართველოს ოფიციალური შეხვედრების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ამ მოვლენების დოკუმენტაციას და მკითხველისთვის სამომავლო რეფერენციის მიღებას.

მედია ჩინეთთან დაკავშირებით ხშირად იყენებდა ტერმინებს, როგორიცაა:

- „სტაბილური პარტნიორი";
- „სანდო ეკონომიკური პარტნიორი";
- „მეგობრული ურთიერთობა".

რუბრიკაში „მსოფლიო" ინტენსიურად ქვეყნდებოდა მასალები, რომელშიც ჩინეთი და მისი ლიდერი სი ძინპინი წარმოდგენილი იყო როგორც ძლიერი სახელმწიფო და სტაბილური, მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის მატარებელი ფიგურა. კერძოდ, პლატფორმაზე გამოქვეყნებული სტატიების სათაურები - „ჩვენ, ეგოისტი ტრამპის წინააღმდეგ სავაჭრო ომის წარმოების არ გვეშინია - პეკინი" და „ჩინური მედია: ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კაია კალასს განუცხადა, რომ პეკინს არ შეუძლია უკრაინასთან ომში რუსეთის დამარცხება დაუშვას" გარკვეულწილად ასახავს მედიის საინფორმაციო პოლიტიკას.

„Sputnik საქართველო"

კრემლისტური მედია **„Sputnik საქართველო"** საქართველოში მოქმედ პროპაგანდისტულ მედიასაშუალებებში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პლატფორმაა, რომელიც რუსულ საინფორმაციო გავლენას სისტემურად ავითარებს. თუმცა, მონიტორინგი ცხადყოფს, რომ რუსული ნარატივების გავრცელებასთან ერთად, მედია ჩინეთის სტრატეგიული პოპულარიზაციის მნიშვნელოვან არხადაც ფუნქციონირებს.

„სპუტნიკ საქართველო“ აუდიტორიას ჩინეთს მუდმივად წარმოუდგენს პოზიტიურ, პროგრესულ და მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის გარდაქმნისთვის აუცილებელ ძალად, რომელიც თითქოს დასავლეთის „სუსტი და არამდგრადი“ მოდელის ალტერნატივას გვთავაზობს. ამასთან, დასავლეთის კრიტიკა და დისკრედიტაცია რეგულარულად ერწყმის ჩინეთის „ზემოქმედი, სტაბილური და პატივსაცემი პარტნიორის“ იმიჯის გამყარებას. გამოცემა აქტიურად იყენებს მანიპულაციურ ანალიტიკურ სტატიებს, ვიდეოგრაფიკებსა და სარედაქციო კომენტარებს, რომლებიც ერთიანი საინფორმაციო კონსტრუქციის ნაწილად გვევლინება და ეს კონსტრუქცია ეფუძნება აზრს, რომ **გლობალური გეოპოლიტიკური ცენტრი იცვლება, ჩინეთი და რუსეთი კი ამ პროცესში წამყვანი მოთამაშეები არიან.**

აღსანიშნავია, რომ „სპუტნიკი“ ჩინეთთან დაკავშირებული სტატიების უმრავლესობას იდენტური დამატებითი ბლოკით - **„საქართველო და ჩინეთი“** ასრუ-ლებს. ამ ქვესათაურში მედია სტრუქტურირებულად წარმოაჩენს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების ქრონოლოგიას, რითაც მკითხველს მუდმივად ახსენებს პარტნიორობის სტრატეგიულ მნიშვნელობას.

კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი: „სპუტნიკმა“ გამოაქვეყნა სტატია/ ვიდეოგრაფიკი - „შეაფერხებს თუ არა ჩინური ინვესტიციები საქართველო-ამერიკის ურთიერთობების „გადატვირთვას“?, რომელიც ტექსტთან ერთად, ვიდეოგრაფიკსაც მოიცავდა. სტატიაში ხაზგასმული იყო, რომ ამერიკა პოლიტიკურ ზეწოლას ახორციელებს, შესაძლოა მომავალში საქართველოსგან გარკვეული დათმობებიც მოითხოვოს, თუმცა, თბილისი „აღმოსავლეთისკენ იყურება“ და ვერ დათმობს საკუთარ სუვერენიტეტს.

„ჩინეთი ამერიკის წინააღმდეგ. ვის დარჩება ანაკლიის პორტი?

საქართველოს მთავრობა აშშ-სთან ურთიერთბების გადატვირთვის მზადყოფნას აცხადებს, მაგრამ შეძლებს კი თბილისი აშშ-თან შერიგებას მიუხედავად იმისა, რომ ანაკლიის პორტის მეგაპროექტი კონკურენტ ჩინეთს გადასცა? პროექტი საქართველოსთვის სატრანსპორტო ჰაბი უნდა გახდეს. პროექტს ამერიკა აღიქვამდა რუსულ და ჩინურ სავაჭრო გავლენების საპირწონედ. ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა დასავლური დაფი-ნანსების მოძიება ვერ შეძლო და 2020 წელს მშენებლობაზე უფლება დაკარგა. მთავრობა იძულებული გახდა პეკინი ჩაერთო, რათა მეგაპროექტი მკვდარი წერტილიდან დაძრულიყო. უცნობია, რა რეაქცია ექნება აშშ-ს ჩინეთის გავ-ლენის შესაძლო გაძლიერებაზე. თბილისი ვაშინგტონისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სივრცე არ არის, მაგრამ საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში მთავარი სტრატეგიული პარტნიორის დაკარგვა არასასურველია. ამიტომ, ტრამპმა შესაძლოა ურთიერთობების „გადატვირთვის“ სანაცვლოდ თბილისს გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოსთხოვოს. მაგალითად, ანაკლიის პორტის სახით, სტატუსი „მეგობარი“ დაუბრუნოს. ვაშინგტონი ჯერ-ჯერობით არ ჩამოყალიბებულა. საქართველო კი, აქტიურად იყურება აღმოსავლეთისკენ. კითხვა შემდეგში მდგომარეობს: მზადაა თუ არა თბილისი ვაშინგტონთან „მეგობრობის“ სასარგებლოდ საკუთარი ინტერესი და სუვერენიტეტი დათმოს?“

ვიდეოგრაფიკის ტექსტი, 16 აპრილი, 2025

ალექსანდრ ხროლენკოს ანალიტიკური სტატია სათაურით -" რუსეთის, ირანისა და ჩინეთის სწავლება "უსაფრთხოების საზღვაო სარტყელი - 2025" მაგალითია იმისა, თუ როგორ იყენებს „სპუტნიკი" პროპაგანდისტულ ჩარჩოებს რეგიონული სამხედრო სწავლების გასაშუქებლად. ნარატივის ცენტრში დგას რუსეთის, ჩინეთისა და ირანის სამხედრო თანამშრომლობის ლეგიტიმაცია და მისი, როგორც რეგიონის „უსაფრთხოების განმტკიცების" მექანიზმის წარმოჩენა.

„სპუტნიკ"-ზე ჩინეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო საბანკო-საფინანსო ურთიერთობა. სტატიებში ფართოდ იყო მიმოხილული ჩინეთის ფინანსური სისტემის როლი საქართველოს საფინანსო ინფრასტრუქტურაში. მაგალითისთვის ეროვნული ბანკი SWIFT-ის ალტერნატივას არ ეძებს: მარეგულირებელმა კრიტიკოსებს უპასუხა.

მიუხედავად იმისა რომ საქართველოში ჩინეთი ერთ-ერთი ყველაზე მცირე ბანკით არის წარმოდგენილი და საბანკო საინვესტიციო რესურსიც მინიმალურია, "სპუტნიკი" ქმნიდა სურათს, სადაც ჩინეთი არა მხოლოდ სავაჭრო, არამედ ფინანსურ პარტნიორადაც მკვიდრდება და აძლიერებს საკუთარ პოზიციებს საქართველოს საბანკო სისტემაში.

მედიაცენტრი „მთავარი"

მედია ჩინეთს დადებით, ხშირად იდეალიზებულ ნარატივში წარმოაჩენს, სადაც პრიორიტეტულია კულტურა, ბუნება, ტექნოლოგიები და პროგრესი. აღნიშნული მიმართულებით, მედიის კონტენტის ძირითად ბირთვს წარმოდგენს მედიაცენტრის დამფუძნებლის, ეკა გულუას მასალები რუბრიკით „ამბები ჩინეთზე", რომლებიც სიღრმითა და ტონალობით ქმნის ჩინეთის ზეპოზიტიურ იმიჯს და პლატფორმას მნიშვნელოვნად განასხვავებს სხვა ქართული მედიასაშუალებებისგან. ჩინეთზე მომზადებული ტექსტები და რეპორტაჟები მნიშვნელოვნად სცდება ტრადიციული ჟურნალისტიკის ჩარჩოებს და ჰგავს ჩინეთის პოპულარიზაციის კონტენტს.

"მთავარი" ხშირად ეყრდნობა ჩინეთის ოფიციალურ წყაროებსა და სახელ-მწიფო მედიის მასალებს, რაც ქმნის ინფორმაციის ნაკადს, სადაც მონაცემები და კომენტარები წარმოდგენილია პოზიტიურ კონტექსტში და ხაზს უსვამს ჩინური ნარატივების პრიორიტეტულობას. შედეგად, „მედიაცენტრი მთავარი" ქმნის ერთგვარ **„პოზიტიურ საინფორმაციო კუნძულს"**, სადაც ჩინეთი თითქმის მთლიანად სიმშვიდის, განვითარების, მეგობრობისა და პროგრესის სიმბოლოა. მედიის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ჩინეთის სიძლიერის, სტაბილური განვითარებისა და კულტურული დიდების წარმოჩენა. მაგალითისთვის შეგიძლიათ იხილოთ სტატია - „თანამედროვე ჩინეთი".

საანგარიშო პერიოდში მედიაპლატფორმა სისტემურად წარმოაჩენდა ჩინეთის გლობალურ პოლიტიკურ როლს როგორც მზარდი საერთაშორისო გავლენის მქონე ძალას, ხოლო პრეზიდენტ სი ძინპინს ძლიერი, პრინციპული და პროგნოზირებადი ლიდერის იმიჯით. მედიამ აქტიურად გააშუქა პრეზიდენტ სი ძინპინის ტურნე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „პრეზიდენტ სი ძინპინმა ტურნე დაიწყო". „მთავარი" ჩინეთთან დაკავშირებულ მკვეთრად ნეგატიურ პოლიტიკურ ან ეკონომიკური შინაარსის ამბებს პრაქტიკულად არ აშუქებს.

“სინოლოგია”

პლატფორმა **„სინოლოგიას“** კონტენტის შესწავლამ აჩვენა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა კოორდინირებულად მართულ პროჩინურ პლატფორმასთან, არამედ ჩინეთით დაინტერესებული პირის და მისი თანამოაზრეების ჯგუფთან, რომლებიც პერიოდულად, აზიარებენ ანალიტიკურ მასალებს ჩინეთთან დაკავშირებით. ამ მიზნით იყენებენ, პოლიტიკური ანალიზის შემცველ მანიპულაციურ სტატიებთან ერთად, პოპულარულ სამეცნიერო ენაზე განთავსებულ სტატიებს.

მედიაპლატფორმა მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში ავრცელებდა შედარებით მცირე რაოდენობის მასალას, რაც წინა წლებთან შედარებით პასიურ აქტივობად შეიძლება შეფასდეს, თუმცა, გამოქვეყნებული მასალები თემატურად მრავალფეროვანია. მასალები მოიცავდა როგორც ისტორიულ-კულტურულ თემებს, ისე საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ანალიზს, ძირითადი ნარატივი ორ მთავარ მიმართულებას აერთიანებდა:

ჩინეთის ცივილიზაციის აკადემიური, მრავალწახნაგოვანი წარმოჩენა, რომ-ლის მაგალითია ისტორიულ-კულტურული თემები, თარგმანები, ანთოლოგიები და კლასიკური ტექსტების თანამედროვე ინტერპრეტაციები:

- „თანგის დინასტიის პოეზიის ნიმუშები“,
- „ფუ ხაო – პირველი გენერალი ქალი ჩინეთის ისტორიაში,
- „ტრადიციული პეკინური საცხოვრისების ტრანსფორმაცია ისტორიული პროცესების ჭრილში“.

საერთაშორისო პოლიტიკის კრიტიკული და რეალისტური ანალიზი, რომელიც მკითხველს სთავაზობს დასავლური დისკურსის ალტერნატიულ ინტერპრეტაციებს და ჩინეთის სტაბილური, გრძელვადიანი გეოპოლიტიკური აქტორის სახეს.

- „სტრატეგია “რევერსული კისინჯერი” გრძელვადიანი გათვლა თუ სასურველის რეალობად გასაღების ნაივური მცდელობა,”
- „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა.“

“MyChineseStories”

პლატფორმა “MyChineseStories” განსხვავდება ზემოთხსენებული პროჩინური პლატფორმებისგან. ის კვლავაც რჩება ჩინეთის შესახებ კულტურული, ტრადიციული, საგანმანათლებლო შინაარსის გამავრცელებლად, თუმცა, ძირითადად, ოპერირებს უფრო პერსონალური ბლოგის ფორმატში, ვიდრე სტანდარტული საინფორმაციო ხასიათის მედიის. გვერდზე მხოლოდ ანალიტიკური სტატიები ქვეყნდება. ჩინეთთან დაკავშირებული შინაარსის ვიდეოკონტენტისა თუ ტექსტური მასალის გასავრცელებლად პლატფორმა ძირითადად იყენებს Facebook გვერდს სახელით - „ჩემი ჩინური ამბები“.

MyChineseStories-ზე და მათ facebook გვერდზე ხშირად ქვეყნდება საინფორმაციო „პოსტები“ ჩინეთში ენის შესწავლის და სხვა სასწავლო პროგრამების შესახებ. მაგალითად, „ჭეძიანგის საერთაშორისო სწავლების უნივერსიტეტი აცხადებს სტუდენტების მიღებას” და „სტიპენდიები ტუნგხუას უნივერსიტეტში“. ასევე, აქტიური იყო წიგნის „ჩინეთმცოდნეობის საფუძვლების“ პოპულარიზაციის კამპანია. წიგნი გვთავაზობს ჩინეთის ისტორიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, საზოგადოების, კულტურის, ხელოვნების, ენის, პოლიტიკური სისტემის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და სინოლოგიის ისტორიის მიმოხილვას.

“Sinomedia”

პლატფორმა sinomedia.ge-ზე, რომელიც „სამოქალაქო იდეას“ წინა კვლევების მიხედვით აქტიურად ავრცელებდა პროჩინურ კონტენტს, 2025 წელს მხოლოდ ერთი სტატია გამოქვეყნდა: „მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომელიც ჩინეთის ელჩის ჭოუ ციენის თსუ-ში გამოსვლას და დოკუმენტური ფილმის - „ჩინეთი და მეორე მსოფლიო ომი“ ჩვენებას შეეხებოდა.

„ნეტგაზეთი“

ჩინეთთან დაკავშირებულ საკითხებს უმეტესად ნეიტრალური, ფაქტებზე დაფუძნებული ახალი ამბების ფორმატით აშუქებდა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ჟურნალისტური ეთიკის დაცვით. პლატფორმა არ ერიდებოდა კრიტიკულ განხილვასაც, განსაკუთრებით იმ მასალებში, სადაც ჩინეთის გეოპოლიტიკური ნაბიჯები საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება ან კითხვებს ბადებს ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებით. მაგალითისთვის, - “ოცნება” ბლოკავს აშშ-ს მაშინ, როცა ინფრასტრუქტურაზე წვდომას ჩინეთის კომუნისტურ პარტიას აძლევს – უილსონი“.

მედია ყურადღებას უთმობდა ჩინეთის რბილი ძალის გამოყენების ტენდენციებს, განსაკუთრებით კულტურულ ღონისძიებებსა და ახალგაზრდულ პროგრამებში პირდაპირ ჩართულობას. სტატიაში - „ჩინეთის საელჩოს თანამშრომლები სტუდენტებს შეხვდნენ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ ბანაკში“; ავტორი შეხვედრის შესახებ გვიყვება, როგორც კულტურული დიპლომატიის კონკრეტულ ინსტრუმენტზე - ახალგაზრდებში კულტურისა და ტრადიციების შესახებ თხრობით ჩინეთის სახელმწიფო პოლიტიკის პოპულარიზაციის მცდელობაზე. ამავე დროს, „ნეტგაზეთი“ არ შემოიფარგლა მხოლოდ ფაქტობრივი აღწერით და სვამს კრიტიკულ კითხვებს: რატომ მიიწვიეს ახალგაზრდებთან სასაუბროდ მხოლოდ ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლები და არა სხვა პარტნიორი ქვეყნების დიპლომატები? საგულისხმოა, რომ სტატიის ბოლოს, გამოცემა მიუთითებდა საკუთარ 2024 წლის მასალაზე, სადაც აღნიშნულია, რომ ჩინეთი არ უჭერს მხარს საქართველოს მოთხოვნას აფხაზეთში დევნილების დაბრუნების შესახებ.

პლატფორმაზე 2025 წელს ჩინეთზე გამოქვეყნებული მასალების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით შემცირებულია. არსებული ინფორმაცია უმთავრესად ეფუძნება საერთაშორისო მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ცნობებს და ასახავს გლობალურ პროცესებში ჩინეთის მონაწილეობას.

„ბათუმელები“

(“ნეტგაზეთთან“ ერთიან მედია საფუძველზე ფუნქციონირებს)

მონიტორინგის პერიოდში ჩინეთთან დაკავშირებულ თემებს შედარებით ფართო მოცულობით აშუქებდა, ვიდრე „ნეტგაზეთი“.

პლატფორმაზე გამოქვეყნებული მასალების შინაარსობრივი ფოკუსი ხშირად გამოირჩეოდა კრიტიკული ან ნეგატიური შეფასებებით. მაგალითად, „აპირებს აქ ჩაიკეტოს და ჩაკეტოს ქვეყანაც“ – ივანიშვილის აქტივები ოფშორიდან საქართველოში“.

„ბათუმელები“ სისტემურად ასახავდა ჩინეთის გავლენასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოში, განსაკუთრებით ეკონომიკური დომინაციის, ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებული ინტერესებისა და ქვეყნის საგარეოკურსისადასტრატეგიულიპოზიციონირებისკონტექსტში.აღსანიშნავია, რომ როგორც „ბათუმელები“, ასევე „ნეტგაზეთი“ აქტიურად აშუქებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკულ ანგარიშებსა და განცხადებებს. მედია ხშირად ეყრდნობოდა „სამოქალაქო იდეას“ მიერ გამოქვეყნებულ კვლევებსა და მიგნებებს. მაგალითისთვის, ,,ჩინელებს ჯერ ფულის დახარჯვა არ უნდათ, ეს კი ივანიშვილს არ აწყობს – ინტერვიუ”. 02/10/25).

მედია სისტემურად წერდა ჩინეთის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების გაძლიერებაზე საქართველოში. სტატიაში ,,რა შეცვალეს ანაკლიის პორტის პროექტში – კონსულტანციებში 3,4 მილიონი დაიხარჯება”, დეტალურად იყო განხილული როგორც ანაკლიის პორტის პროექტის განვითარება, ისე მასში ჩართული ჩინური კომპანიის როლი და ,,ქართული ოცნების” პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით. სტატია ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად ყურადღებას ამახვილებდა ჩინური კონსორციუმის წამყვანი კომპანია China Communications Construction Company Limited - CCCC-ის მიმართ არსებულ მნიშვნელოვან რისკებზე, საუბარი იყო კომპანიის სანქცირების სტატუსზე.

პლატფორმის პუბლიკაციები მოიცავდა როგორც ნეიტრალურ და ანალიტიკურ შეფასებებს ჩინეთის გეოპოლიტიკურ როლზე, ასევე მკვეთრად კრიტიკულ კომენტარებს, რომლებიც ხაზს უსვამდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების რისკებს, რაც საქართველოს შესაძლოა ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავების პროცესში შეხვდეს.

მონიტორინგის შედეგებით გამოიკვეთა, რომ მედია უფრო ხშირად კრიტიკულად განიხილავდა ჩინეთს და მას იმავე გეოპოლიტიკურ ვექტორზე ათავსებდა, სადაც რუსეთი და სხვა ავტორიტარული რეჟიმებია. მაგალითად, ,,ISW-ი მიუთითებს რუსეთის, ირანის, ჩრდილოეთ კორეისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბლოკზე, რომელიც მიზნად ისახავს შეერთებული შტატების და მისი მოკავშირეების დამარცხებას მთელს მსოფლიოში”.

„ტაბულა“

მედიის სარედაქციო პოლიტიკა მკაფიოდ იყო ორიენტირებული ჩინეთის საერთაშორისო პოლიტიკის, გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებისა და ძალთა გადანაწილების პროცესებზე. შესწავლილი 401 მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ გაშუქების ტონალობა უმეტესწილად ნეიტრალური ან კრიტიკული იყო, რაც დიდწილად განპირობებული იყო დასავლური მედიასაშუალებების ანალიტიკურ წყაროებზე დაყრდნობით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა აშშ–ჩინეთის სატარიფო დაპირისპირება, ჩინეთ-რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობა და ჩინეთის როლი საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციაში. გამოცემა ჩინეთს უმეტესად წარმოაჩენდა გლობალური უსაფრთხოების საფრთხის, ავტორიტარული ალიანსებისა და დასავლეთის მოწინააღმდეგე ძალის კონტექსტში, განსაკუთრებით, რუსეთთან და ირანთან თანამშრომლობის თემებში. მაგალითად, სტატია, რომელიც გამოცემამ Reuters-ის მიხედვით გამოაქვეყნა „რუსეთი და ჩინეთი სანქციების წინააღმდეგ ბრძოლაში ურთიერთდახმარებას გააგრძელებენ“. ასევე, „უილსონი: ქართულ ოცნებას უყვარს ტერორისტი ირანი და ჩინეთის კომუნისტური პარტია და სძულს აშშ”.

სხვა ქართულ მედიებთან შედარებით, „ტაბულა“ ინტენსიურად აშუქებდა ტაივანის საკითხს და აქცენტს აკეთებდა სამხედრო რისკებზე, რეგიონულ დაძაბულობაზე და ჩინეთის აგრესიულ პოლიტიკაზე ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში. „ტაივანის დაცვის გამოწვევები იზრდება – ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ს ადმირალი“ .

სარედაქციო მიდგომები მოიცავდა მკაფიოდ პროდასავლურ ხაზს, ავტორიტარული სახელმწიფოების კრიტიკულ შეფასებას და საქართველოს საგარეო კურსთან შეუთავსებელი რისკების ხაზგასმას ჩინეთთან ურთიერთობებში.

საქართველო–ჩინეთის თანამშრომლობაზე პერიოდულად ვრცელდებოდა პოზიტიური სიახლეები, თუმცა, ისინი უმეტესად სახელმწიფო უწყებების განცხადებებსა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების კომენტარებს ეყრდნობოდა. „ტაბულას“ ნარატივში ჩინეთის როლი საქართველოში ძირითადად პოლიტიკურ და უსაფრთხოების გამოწვევებთან ასოცირდება, რაც პლატფორმის საერთო სარედაქციო ხაზთან თანხვედრაშია.

აიფაქტი:

გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აიფაქტი” მონიტორინგის პერიოდში იყო ერთადერთი მედია პლატფორმა, რომელმაც ჩინეთთან დაკავშირებული სიღრმისეული საგამოძიებო ჟურნალისტური მასალა გამოაქვეყნა. კვლევა „საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა - მახე თუ სარგებელი“ დეტალურად აანალიზებს საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების არსს, განვითარების დინამიკას და პოტენციურ რისკებს.

კვლევაში აღწერილია, რომ მიუხედავად ოფიციალურად დეკლარირებული სტრატეგიული თანამშრომლობისა და შთამბეჭდავი პოლიტიკურ-ეკონომიკური დაპირებებისა, საქართველოში განხორციელებული ჩინური ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების დიდი ნაწილი საეჭვოა. მთავარ მიზეზად დასახელებულია ჩინეთის სიფრთხილე „ქართული ოცნების“ პოლიტიკის მიმართ და მაღალი რისკების გათვალისწინება, რაც გულისხმობს, რომ პეკინი თავს არიდებს მასშტაბურ, გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებს საქართველოში.

კვლევაში აქცენტი კეთდება რამდენიმე ძირითად გამოწვევაზე:

- ვალის მართვის რისკები;
- ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამო პროექტები;
- ჩინეთის პოლიტიკური გავლენის გაძლიერება;
- დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობის გართულება.

ანაკლიის პროექტში ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმის საკითხს ეხებოდა მედიაპლატფორმის ,,youtube” გვერდზე გამოქვეყნებული ვიდეო-კონტენტი - ,,რა უნდა ვიცოდეთ ანაკლიის პორტზე? - “აი, კონტექსტი” - ეპიზოდი #1”. 31/01/25. ვიდეოში კრიტიკულად იყო შეფასებული ანაკლიის პროექტში ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმის მონაწილეობა.

დასავლური პრესა & ქართული პროსახელისუფლებო მედია

საერთაშორისო და ქართული მედიარეპრეზენტაციების შედარებითი ანალიზით გამოვლინდა არსებითი დისკურსული განსხვავებები, რომლებიც განსაზღვრავს ჩინეთისა და მისი ლიდერის, სი ძინპინის შეფასების ტონს, შინაარსსა და თემატურ ჩარჩოებს.

დასავლური ავტორიტეტული გამოცემების: BBC, Reuters, The New York Times, The Washington Post და Le Monde მასალები ერთობლივად ქმნიან კრიტიკულ, ანალიტიკურ და მრავალმხრივ სურათს, სადაც ჩინეთი აღიქმება როგორც ავტორიტარული სახელმწიფო, რომელსაც ახასიათებს:

- ძალაუფლების მკაცრი ცენტრალიზაცია;
- შიდა კონტროლის გამკაცრება;
- ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევები;
- ეთნიკური უმცირესობების დევნა;
- მედიასა და ციფრულ სივრცეზე სრული ზედამხედველობა;
- საერთაშორისო პოლიტიკაში მზარდი სტრატეგიული აგრესიულობა.

ეს მედია დისკურსი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- ჩინეთში პარტიული „წმენდის“ კამპანიები;
- კერძო სექტორზე ზეწოლა და მისი შედეგების იძულებითი კორექცია;
- ეკონომიკური მაჩვენებლების კრიტიკული შეფასება;
- აშშ-სთან სატარიფო დაპირისპირება;
- ტაივანის გარშემო სამხედრო დაძაბულობა;
- რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა;
- ევროკავშირთან სტრატეგიული უთანხმოებები.

სი ძინპინი ამ კონტექსტში წარმოდგენილი იყო ავტორიტარ ლიდერად, რომლის გრძელვადიანი სტრატეგია ეფუძნება ძალაუფლების კონსოლიდაციას, შიდა კონტროლს და გეოპოლიტიკური გავლენის გაფართოებას.

ამ ფონზე, ქართული პროსახელისუფლებო მედია სრულიად განსხვავებულ ნარატივს გვთავაზობდა. მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ქართული სამთავრობო მედია სრულად გამოირიცხავს კრიტიკულ/ნეგატიურ გაშუქებას და ჩინეთსა და სი ძინპინს სისტემატურად წარმოაჩენს მხოლოდ პოზიტიური, პარტნიორული და „სუპერსახელმწიფოს“ იმიჯით. კვლევის პერიოდში არცერთი კრიტიკული მასალა არც ჩინეთში განხორციელებულ შიდა რეპრესიებზე, ეკონომიკურ პრობლემებზე და გეოპოლიტიკურ დაძაბულობაზე არ გაშუქებულა. უფრო მეტიც, პროსახელისუფლებო მედიაში აშკარად შეინიშნებოდა კონტრასტული სტრატეგია: ჩინეთზე კრიტიკის სრული იგნორირების პარალელურად, ინტენსიურად აშუქებდა ნეგატიურ ნარატივებს დასავლეთისა და კონკრეტული დასავლელი ლიდერების შესახებ.

მაშინ, როცა ქართული პროსამთავრობო არხები და საინფორმაციო სააგენტოები აქტიურად ავრცელებდნენ „ქართული ოცნების“ ნარატივს, რომლის მიხედვითაც „ჩინეთი ბოლო ათწლეულების ერთადერთი სუპერსახელმწიფო და მსოფლიოსთვის სამაგალითო პარტნიორია“ ავტორიტეტული გამოცემა The New York Times წერდა, რომ „Xi Jinping, the most powerful Chinese leader in decades, has waged a far-reaching crackdown on civil society and tightened control on information.“

დაფინანსების წყარო

მონაცემთა წყარო

- **კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სპეციალური ბაზა**
  კვარტალურად 7 ათას ლარზე მეტი გადამხდელები
- **შესაბამისობის დეკლარაციები**
- **სამეწარმეო რეესტრი**

დამუშავდა

- **544 კომპანიის მონაცემი**
- **59 მედიაკომპანიის მონაცემი (ტელევიზია • რადიო • სხვა)**

შედარება:

- **2022 vs 2023**

შესწავლის შედეგად მედიების მფლობელთა შორის ორი მედიაკომპანია იყო ასოცირებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსთან და ერთი - ბიზნესკომპანიასთან.

2025 წლის II კვარტალი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო
დააფინანსა:

ტელეკომპანია “ობიექტივი”

გადაცემა “ჩინური პანორამა”

7,000 – 50, 000 ლ.

ჩინური მედიცინის ცენტრი
დააფინასა:

ტელეკომპანია პირველი

რეკლამა

7,000 – 50, 000 ლ.

ჩინური მედიცინის ცენტრი, შპს ჩინური მედიცინის ცენტრი - პეკინი 01/12/2022 წელს თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა, N1-ში დავით ტშუღურიანის მიერ დაფუძნდა. სომხეთის მოქალაქე დავით ტშუღურიანი - AV0483515 - კომპანიის ერთპიროვნული მმართველია. აღნიშნულ შპს-ს სხვადასხვა ტიპის სარეკლამო და მედიაგანთავსებები აქვს ადგილობრივ ტელევიზიებში.

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების კომისიის ვებგვერდზე ქვეყნდება მხოლოდ 7000 ლარზე ზემოთ დაფინანსებული მასალების შესახებ ინფორმაცია, რის გამოც უფრო დაბალი ღირებულების რეკლამებსა და ფინანსურ მონაცემებზე საჯარო წვდომა შეზღუდულია. ამ ვითარებაში მსგავსი მასალების არსებობა მხოლოდ მედიის მიერ გამოყენებული სპეციალური აღნიშვნით ხდება ცნობილი; თუმცა, კონკრეტული ფინანსური მოცულობა უცნობი რჩება. ასეთ მაგალითს წარმოადგენს საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიერ გავრცელებული საქართველოში ჩინეთის ელჩის, ჭოუ ციენის მიერ დაფინანსებული სტატია

საქართველო:

„ჩინეთის ელჩი საქართველოში - ჩინეთი ადგენს განვითარების გეგმას, რომელიც არასტაბილურ მსოფლიოს სიმტკიცეს შესძენს“

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში ანალოგიური სტატიები გამოაქვეყნა ჩინეთის საელჩომ აზერბაიჯანსა და სომხეთშიც.

აზერბაიჯანი:

„ჩინეთმა მოდერნიზაციის განსავითარებლად, ახალი კამპანიის ფარგლებში, მე-15 ხუთწლიანი გეგმა შეიმუშავა“.

სომხეთი:

„განვითარების შესაძლებლობების გაზიარება და ერთად ლამაზი მომავლის შექმნა“.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა თვისებრივ მეთოდოლოგიას. გამოყენებულია სამაგიდო კვლევა (desk research), კონტენტ-ანალიზი (მედიამონიტორინგი), ასევე, შემთხვევების განხილვა (case study) და შედარებითი ანალიზის ტაქტიკა.

სამაგიდო კვლევა მოიცავს როგორც „სამოქალაქო იდეას“ მიერ ამ მიმართულებით უკვე განხორციელებული კვლევების კომპილაციურ ანალიზს, ისე დამატებითი უახლესი წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზს.

კონტენტის გასაანალიზებლად მედიებზე დაკვირვების პერიოდად ავიღეთ თერთმეტთვიანი მონაკვეთი - 1.01.2025 – 10.11.2025.

მედია არხების შერჩევის მიდგომისას გავითვალისწინეთ საქართველოს მედიასისტემის პოლარიზაცია და დავაკვირდით ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სატელევიზიო არხებს. ვისარგებლებთ TMI და TVMR -ის მონაცემებით, ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებრივი აზრის კვლევების ანგარიშებით.

ჩვენი მონიტორინგის არეალში მოხვდა პროსახელისუფლებო და ოპოზიციური არხები. ოპოზიციური არხებიდან: „ტვ პირველი” და BM.ge, ხოლო პროსახელისუფლებო არხებიდან - „იმედი“ და „პოსტ ტვ“. მონიტორინგის არხების შერჩევისას მედიაკავშირი „ობიექტივი“ შევისწავლეთ სპეციფიკური პრო-ჩინური გადაცემის გამო.

ჩავატარეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამონიტორინგი და ანალიზი, რომელიც ჩვენი კვლევისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივ ვალდებულებებში (მუხლი16) პირდაპირაა განსაზღვრული, რომ მაუწყებელი ვალდებულია „უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ - ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია“.

ასევე, შევისწავლეთ ონლაინგამოცემები. ამ შემთხვევაშიც, დაკვირვების ობიექტები შეირჩა ერთმანეთისგან ტიპოლოგიურად განსხვავებულობის პრინციპით.

რაოდენობრივი მედიამონიტორინგისთვის გამოვიყენეთ რიცხობრივი საზომები და ინდიკატორები, რომელთა დათვლა და ანალიზიც შესაძლებელია. შერჩეული ემპირიული მასალის გაანალიზების შედეგად, შეფასდა, ასევე, გაშუქების ტონი, რომლითაც შესაბამისი სუბიექტი იყო წარმოდგენილი - პოზიტიური,ნეიტრალურიანნეგატიური.მოძიებულიმედიამასალებიდახარისხდა თემატურად, რათა საშუალება გვქონოდა დაგვენახა, რაოდენობრივად, რომელი თემები გახდა მედიისთვის საინტერესო ჩინეთთან დაკავშირებით.

კვლევისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდოლოგიის ფარგლებში შედარების ტაქტიკა, რომელიც ორი მიმართულებით განვახორციელეთ. პირველი მიმართულება შეეხებოდა მიღებული მონაცემების შედარებას „სამოქალაქო იდეას“ მიერ განხორციელებული წინა კვლევების მონაცემებთან. აღნიშნული მიდგომით დავაკვირდით ცვლილებებს ტენდენციების დონეზე, გამოვავლინეთ

ნარატივების ტრანსფორმაციის დინამიკა და შევაფასეთ, როგორ განვითარდა მედიაში ჩინეთისა და მისი პოლიტიკური გავლენის რეპრეზენტაცია დროთა განმავლობაში.

შედარების ტაქტიკა, ასევე, გამოვიყენეთ მედიასისტემის ანალიზის დროსაც, სამაგიდო კვლევის მიმდინარეობის პროცესში. კერძოდ, სისტემური კვლევის ფოკუსი იყო საქართველოს მედიაბაზარი. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემების ანალიზის შედეგად, გამოვყავით ჩინეთთან დაკავშირებული ან მფლობელობაში არსებული ბიზნესკომპანიები, რომლებიც რეკლამის განმთავსებლებია ქართულ მედიაბაზარზე. ასევე, განვაახლეთ სამაუწყებლო კომპანიების მფლობელთა შესახებ ინფორმაცია და შევადარეთ წინა პერიოდის მონაცემებს.

გარდა ამისა, შედარებითი ანალიზის მეთოდი გამოვიყენეთ უცხოური მედიის კვლევის შემთხვევაშიც. ამ ეტაპზე მიზანი იყო გამოგვეკვეთა, როგორ განსხვავდება ჩინეთისა და მისი ლიდერის, სი ძინპინის რეპრეზენტაცია ქართულ მედიაში დასავლურ მედიასთან შედარებით. ამისათვის გავაანალიზეთ რამდენიმე ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემა: BBC News, Reuters, The New York Times, The Washington Post და Le Monde. აღნიშნულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალების შინაარსობრივი ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ქართული საინფორმაციო გარემოს შინაარსობრივი ტენდენციების შედარება გლობალურ მედიადისკურსთან, რაც კვლევას ანიჭებს მეტ სიღრმეს, იძლევა დისკურსის სტრუქტურისა და აქცენტების შედარებითი შეფასების შესაძლებლობას.